



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010194899788317

21 / ნოემბერი / 2017 წ.  
№ 1113/ს

**2017 წლის 20 ნოემბერს N359 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01 , N02; N03 - სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული I, II და III ხარისხის მერქნული რესურსი - წიფლის 125,83 მ<sup>3</sup>) შედეგების გამოცხადების შესახებ**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის №50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული I, II და III ხარისხის მერქნული რესურსის (წიფელი 125,83 მ<sup>3</sup>) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N359) გამოცხადების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს უფროსის 2017 წლის 16 ნოემბრის N1093/ს ბრძანებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 21 ნოემბრის N27748/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მიმდინარე წლის ნოემბერს ჩატარებული N359 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01, N02 და N03 წიფლის ჯიშის მერქნული რესურსი – 125,83 მ<sup>3</sup>) შედეგებით ლოტი N01, N02 და N03 გამოვლინდა გამარჯვებული პირი:

1. აუქციონი N359, ლოტი N01 - შპს ლაზ (441555283) – 49,92 მ<sup>3</sup> - I ხარისხი.
2. აუქციონი N359, ლოტი N02 - შპს ლაზ (441555283) – 47,14 მ<sup>3</sup> - II ხარისხი.
3. აუქციონი N359, ლოტი N03 - შპს ლაზ (441555283) – 28,77 მ<sup>3</sup> - III ხარისხი.

2. მიენიჭოს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურის უფროსს გამარჯვებულის მიერ კანონმდებლობით და აუქციონის პირობებით დადგენილ ვადაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ ნასყიდობის ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება და დაევალოს, აუქციონის პირობების შესრულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, აუქციონში გამარჯვებული პირისათვის შესაბამისი მერქნული რესურსის გადაცემა

მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, თანახმად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვადების დაცვით.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის  
მოადგილე



ნათია იორდანიშვილი